ფეხბურთი თებერვალში

„დინამო“ – „ვისლა“ 2:0

შავიზღვისპირეთში დაიწყო ფეხბურთელთა საერთაშორისო საწვრთნელი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდები და ჩეხოსლოვაკიის ქალაქების ხებისა და ოლომოუცის „რუდა ზვეზდა“ და „სიგმა“, პოლონეთის ქალაქ კრაკოვის „ვისლა“ და უნგრეთის დედაქალაქის ბუდაპეშტის „ჩეპელი“.

გუშინ თბილისის „დინამო“ შეხვდა კრაკოვის „ვისლას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ცაავამ (მე-15 წუთზე) და კორღალიძემ (29).

„დინამოს“ ღირსებას იცავდნენ: გაბელია, სვანაძე, კეტაშვილი, კუდინოვი (ბარათაშვილი, 46), მალანია, რევიშვილი, აფციაური, კორღალიძე (ჟორდანია, 60), კაკილაშვილი (ბიგვავა, 68), ცაავა, ჩელებაძე (გურული, 46).

მატჩს სჯიდა მოსკოველი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ა. აპირინი.

მაია მესხია,
(ლელოს“ საკ. კორ.)
19.02.1987